საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ემბაზი

ემბაზი (ბერძნ. embasis – შესვლა), მრგვალი და ფართო ზომის ქვის, ლითონის ან ხის ჭურჭელი, რ-იც გამოიყენება (მართლმადიდებლურ და კათოლ. ეკლესიებში) ნათლობის რიტუალის დროს. ძველი დროიდან იყენებდნენ ძირითადად ლითონის **ე**-ებს. მღვდელი ბავშვს სამჯერ ჩასვამს **ე**-ში ისე, რომ წყალმა დაუფაროს ტანი. „ემბაზით აღმოშობილი“ ან „ემბაზისშვილი“ ნიშნავს მონათლულს, ქრისტიანს, „ემბაზით მშობელი“ – ნათლიას.